ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

*„დამტკიცებულია“*
*შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის”*
*პარტნიორთა საერთო კრების 2022 წლის 29 ივლისის*
*სხდომის № 01-03/02 ოქმის დანართი №1*

*კოდიფიცირებულია:*
*შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის*
*აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 იანვრის №01-07/07*
*დადგენილებით*

# შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის

# აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესი

**2025**

## სარჩევი


| | |
|---|---|
| თავი I – ზოგადი დებულებები | 1 |
| მუხლი 1. ზოგადი დებულებები | 1 |
| მუხლი 2. ტერმინთა განმარტება | 1 |
| მუხლი 3. წესის სავალდებულო ძალა | 2 |
| თავი II – აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი | 3 |
| მუხლი 4. აკადემიური თანამდებობაზე არჩევის და დანიშვნის ვადა | 3 |
| მუხლი 5. ვაკანტური აკადემიური თანამდებობების განსაზღვრა | 3 |
| მუხლი 6. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პრინციპები | 4 |
| მუხლი 7. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები (საკვალიფიკაციო მოთხოვნები) 5 | |
| მუხლი 8. ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენციის დადასტურება | 6 |
| თავი III – აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი | 7 |
| მუხლი 9. აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ეტაპები და პროცედურები | 7 |
| მუხლი 10. აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადება | 8 |
| მუხლი 11. კონკურსანტის წარმოსადგენი დოკუმენტაცია | 8 |
| მუხლი 12. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება | 10 |
| მუხლი 12 1. კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმები | 10 |
| მუხლი 13. საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება (კონკურსის პირველი ეტაპი) | 11 |
| მუხლი 14. გასაუბრება კონკურსანტთან (კონკურსის მეორე ეტაპი) | 12 |
| მუხლი 15. კონკურსის პირველი და მეორე ეტაპის შემაჯამებელი შეფასება და შედეგების გამოქვეყნება | 13 |
| მუხლი 16. კონკურსანტის აპელაცია, სააპელაციო კომისიის შემადგენლობა და გადაწყვეტილება | 13 |
| მუხლი 17. გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა და აკადემიურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენა | 15 |
| მუხლი 18. კონკურსის განმეორებით გამოცხადება და ჩატარება | 15 |
| მუხლი 19. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა | 15 |
| მუხლი 20. საკონკურსო კომისიის ფუნქციები და მუშაობის ფორმატი | 17 |
| მუხლი 21. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი | 18 |
| მუხლი 22. საკონკურსო მასალების შენახვა | 19 |
| თავი IV – მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესი | 19 |
| მუხლი 23. მოწვეული პერსონალი | 19 |
| მუხლი 24. მოსაწვევი პერსონალის საჭიროების განსაზღვრა | 20 |
| მუხლი 25. მოსაწვევი პერსონალის სამსახურში მიღების წესი | 20 |
| მუხლი 26. მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები | 21 |
| მუხლი 27. მოსაწვევი პერსონალის სამსახურში მისაღები კონკურსის გამოცხადება | 21 |
| მუხლი 28. მოსაწვევი პერსონალის სამსახურში მისაღები საკონკურსო კომისია | 22 |
| მუხლი 29. მოწვეული პერსონალის სამსახურში მისაღები კონკურსის ჩატარების წესი | 22 |
| თავი V – გარდამავალი დებულებები | 23 |
| მუხლი 30. გარდამავალი დებულებები | 23 |

*ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი*

| N | თარიღი | ნდ-ის ნომერი | დოკუმენტის მიმღები | ცვლილება | ვერსია | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | 29.07.2022 | 01-03/02 დანართი №1 | პარტნიორთა საერთო კრება | პირველადი რედაქცია | 01 | |
| 2 | 16.01.2025 | №01-07/07 დანართი №1 | აკადემიური საბჭო | კოდიფიცირებული | 02 | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

## თავი I – ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

**1.1.** შპს „ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ (შემდეგში – „ავიცენა“ ან „უნივერსიტეტი“) აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესი **(შემდეგში – „წესი“)** ადგენს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების რეგულაციას, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კონკურსის ჩატარების პროცედურებს, კომისიების საქმიანობის წესს და აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის თანამდებობების დაკავების სხვა სამართლებრივ საკითხებს.

**1.2.** წინამდებარე წესი შესაბამისობაშია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან, ამ კანონის საფუძველზე მიღებულ შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებთან, მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან, ასევე შპს „ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ წესდებისა და უნივერსიტეტის დებულების ნორმებთან.

**1.3.** აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის შერჩევასთან და უნივერსიტეტის შესაბამისი თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული ამ წესით ან მის საფუძველზე მიღებული უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**1.4.** წესის მიზანია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის კანონიერი და სამართლიანი რეგულაციის განსაზღვრა, რომელიც დაეფუძნება გამჭვირვალობის, თანასწორობის და სამართლიანი კონკურენციის პირობებში შეჯიბრებითობის პრინციპებს.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

**2.1.** ამ წესის მიზნებისთვის წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **უნივერსიტეტი** – შპს „ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი“;

ბ) **სკოლა** – უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული – **მედიცინის სკოლა;**

გ) **აკადემიური თანამდებობა** – „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობები: **პროფესორი** (მათ შორის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ–პროფესორი) და **ასისტენტი;**

დ) **პროფესორი** – უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო – კვლევით მუშაობას;

ე) **ასოცირებული პროფესორი** – უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო–კვლევით მუშაობას;

ვ) **ასისტენტ–პროფესორი** – უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო–კვლევით პროცესებში;

ზ) **ასისტენტი** – უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო/პრაქტიკულ მეცადინეობებსა

და კვლევით სამუშაოებს, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;

თ) **მოწვეული პერსონალი - <u>მოწვეული პროფესორები</u>** (სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მოწვეული აკადემიური თანამდებობის პირები: პროფესორი/ასოცირებული პროფესორი) **და <u>მოწვეული მასწავლებლები</u> (მასწავლებელი** - დოქტორის აკადემიური ხარისხის არმქონე პირი **და უფროსი მასწავლებელი** - დოქტორის ხარისხის მქონე პირი), შესაბამისი პედაგოგიური, პრაქტიკული თუ კლინიკური მუშაობის გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც მოიწვევა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე;

ი) **საკონკურსო კომისია** - ამ წესის შესაბამისად შექმნილი კომისია, რომელიც აფასებს კონკურსანტებს;

კ) **სააპელაციო კომისია** - ამ წესის შესაბამისად შექმნილი კომისია, რომელიც იხილავს კონკურსის მონაწილე კონკურსანტების საჩივრებს, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებებზე;

ლ) **აპელაცია** - კონკურსის მონაწილე კონკურსანტის საჩივარი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებაზე;

მ) **კონკურსანტი** - აკადემიური ან მოწვეული პერსონალის შესარჩევი კონკურსის მონაწილე პირი;

ნ) **ინტერესთა კონფლიქტი** - საკონკურსო/სააპელაციო კომისიის წევრისა და კონკურსანტის ნათესაური, სოციალური ან ეკონომიკური კავშირი, აგრეთვე, სხვა გარემოება, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს კომისიის წევრის მიუკერძოებლობაზე კონკურსანტის შეფასებისას, პოზიტიური თუ ნეგატიური კუთხით. პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულები, ასევე განიხილებიან ნათესაური კავშირის მქონედ.;

ო) **აფილირება** - უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის პირს შორის დადებული შეთანხმება აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან მიკუთვნების (აფილირების) შესახებ;

## მუხლი 3. წესის სავალდებულო ძალა

**3.1.** წინამდებარე წესის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და პერსონალისათვის, ამ წესის შესაბამისად შექმნილი საკონკურსო და სააპელაციო კომისიებისათვის, ასევე აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის შესარჩევი კონკურსის მონაწილე კონკურსანტებისათვის.

**3.2.** წინამდებარე წესის მოთხოვნათა შეუსრულებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს:

**ა) კონკურსანტის მხრიდან შეუსრულებლობამ** - კონკურსანტის მოხსნა კონკურსიდან ან კონკურსანტის დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. იმ შემთხვევაში, თუ წესის მოთხოვნათა დარღვევა გამოვლენილი იქნება კონკურსანტის/მოწვეული პირის აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის/მოწვეულ პირთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, უნივერსიტეტი უფლებამოსილია განიხილოს წესის დამრღვევ პირთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი, უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად;

**ბ) საკონკურსო კომისიის/სააპელაციო კომისიის წევრების მხრიდან შეუსრულებლობამ** - ამ წესის დარღვევით ჩატარებული კონკურსის ეტაპის, ან კონკურსის შედეგად მიღებული

გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადება, მთლიანად თუ ნაწილობრივ (იმ ნაწილში, რომელზედაც წესის მოთხოვნების დარღვევამ პირდაპირი შედეგი იქონია);

**გ) უნივერსიტეტის დასაქმებულის მხრიდან შეუსრულებლობამ** – უნივერსიტეტის დებულებით, შინაგანაწესით, ეთიკის ნორმებით ან/და სხვა სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ღონისძიების განხორციელება/პასუხისმგებლობის დაკისრება.

## თავი II – აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი

### მუხლი 4. აკადემიური თანამდებობაზე არჩევის და დანიშვნის ვადა

**4.1.** წინამდებარე წესის შესაბამისად ჩატარებული ღია კონკურსის შედეგად უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა და დანიშვნა ხორციელდება შემდეგი ვადებით:

ა) პროფესორის თანამდებობაზე – 6 წლის ვადით;

ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე – 4 წლის ვადით;

გ) ასისტენტ–პროფესორის თანამდებობაზე – 3 წლის ვადით;

დ) ასისტენტის თანამდებობაზე – 3 წლის ვადით.

**4.2.** აკადემიური თანამდებობაზე არჩევის ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

### მუხლი 5. ვაკანტური აკადემიური თანამდებობების განსაზღვრა

**5.1.** უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიღების საჭიროებას (შემდეგში – ვაკანსიებს) განსაზღვრავს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის სკოლის შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტთან კონსულტაციის საფუძველზე, შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით:

ა) სტუდენტთა **კონტიგენტი;**

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებები პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ნაწილში;

გ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობა;

დ) არსებული აკადემიური პერსონალის დატვირთვა და შესაბამისი სამიზნე ნიშნულები;

ე) პროგრამის ბიუჯეტი (პირველადი ხარჯთაღრიცხვა);

ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოება/საჭიროება.

**5.2.** **პროგრამის ხელმძღვანელი** საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიღების საჭიროების შესახებ სამსახურებრივი ბარათით **მიმართავს სკოლის დეკანს,** რომელიც უზრუნველყოფს საკითხის სკოლის საბჭოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებას და სკოლის საბჭოს დღის წესრიგში შეტანას.

**5.3.** სკოლის საბჭოს სხდომაზე აკადემიური პერსონალის ვაკანტური ადგილების განსაზღვრისა და კონკურსის გამოცხადების თაობაზე საკითხის განხილვაში მონაწილეობას იღებენ პროგრამის ხელმძღვანელი და დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელები.

**5.4.** აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას (წარდგინებას) სკოლის საბჭო იღებს უნივერსიტეტის ან/და სკოლის/საგანმანთლებლო პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტის გათვალისწინებით.

**5.5.** სკოლის საბჭო უფლებამოსილია დააკონკრეტოს ვაკანტური აკადემიური თანამდებობის მიმართულების ქვემიმართულება, პროგრამის ხელმძღვანელისა ან/და დარგობრივი დეპარტამენტის არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით.

**5.6.** კონკურსის გამოცხადების თაობაზე **სკოლის საბჭოს გადაწყვეტილება** (წარდგინება) **წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს** (ვაკანტური აკადემიური თანამდებობების ჩამონათვალის, საკონკურსო მიმართულებების (ქვემიმართულებების), კონკურსის ჩატარების ვადების და სხვა საჭირო საორგანიზაციო ღონისძიებების მითითებით).

**5.7.** უნივერსიტეტის რექტორი უზრუნველყოფს კონკურსის გამოცხადების თაობაზე სკოლის წარდგინების აკადემიურ საბჭოზე განხილვას.

**5.8.** **აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ცხადდება** აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსი, ვაკანტური თანამდებობების, ამ წესით განსაზღვრული საკონკურსო პირობების და ვადების მითითებით.

**5.9.** კონკურსის გამოცხადების თაობაზე აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე **უნივერსიტეტის რექტორი ამტკიცებს საკონკურსო და სააპელაციო კომისიებს,** ასევე **გამოსცემს სამართლებრივ აქტებს** კონკურსის ჩატარების საორგანიზაციო ღონისძიებების თაობაზე (კონკურსის გამოცხადების საჯაროობასთან, მიმღები/საკონკურსო/სააპელაციო კომისიის წევრების შრომის ანაზღაურებასთან, სამუშაო ადგილის, კომისიების მუშაობის მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ ან/და სხვა საკითხებთან დაკავშირებით).

**5.10.** აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილების, ასევე კონკურსთან დაკავშირებით გამოცემული რექტორის სამართლებრივი აქტების აღსრულების ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის **ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული**/დასაქმებული, ხოლო კონტროლს – **რექტორის მოადგილე**.

## მუხლი 6. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პრინციპები

**6.1.** უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია თავისუფლების, გამჭვირვალობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით ჩატარებული **ღია კონკურსის საფუძველზე.**

**6.2.** დაუშვებელია აკადემიური თანამდებობა დაიკავოს პირმა, რომელიც ნასამართლევია „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ან/და იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.

## მუხლი 7. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები (საკვალიფიკაციო მოთხოვნები)

აკადემიური თანამდებობაზე არჩევის პირობებია (საკვალიფიკაციო მოთხოვნებია):

### 7.1. <u>პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:</u>

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, საკონკურსო მიმართულებით;

ბ) არანაკლებ 6-წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

გ) საკონკურსო მიმართულებით სასწავლო კურსების შემუშავებისა და განვითარების ხედვა (კონცეფცია);

დ) სამეცნიერო საქმიანობა, რაც დასტურდება შესაბამისი საკონკურსო მიმართულებით <u>უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში</u> გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციებით, მათ შორის იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში - არანაკლებ 2 პუბლიკაცია;

ე) კლინიკური დისციპლინების საკონკურსო მიმართულებით საექიმო საქმიანობის უფლება, რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატით (კლინიკური სწავლების მიმართულებით კონკურსის შემთხვევაში);

ვ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, არანაკლებ ბოლო 9 წლისა;

ზ) ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენცია (ინგლისურენოვანი პროგრამის სწავლებისათვის / ინგლისურ ენაზე სასწავლო კომპონენტის წარმართვის საჭიროების შემთხვევაში).

### 7.2. <u>ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:</u>

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, საკონკურსო მიმართულებით;

ბ) არანაკლებ 3-წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

გ) დარგობრივი მიმართულებით სასწავლო კურსების შემუშავებისა განვითარების ხედვა (კონცეფცია);

დ) სამეცნიერო საქმიანობა, რაც დასტურდება შესაბამისი საკონკურსო მიმართულებით <u>უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში</u> გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციებით, მათ შორის იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში - არანაკლებ 1 პუბლიკაცია;

ე) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის უფლება, რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატით (კლინიკური სწავლების მიმართულებით კონკურსის შემთხვევაში);

ვ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, არანაკლებ ბოლო 5 წლისა;

ზ) ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენცია (ინგლისურენოვანი პროგრამის სწავლებისათვის / ინგლისურ ენაზე სასწავლო კომპონენტის წარმართვის საჭიროების შემთხვევაში).

### 7.3. <u>ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:</u>

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, საკონკურსო მიმართულებით;

ბ) დარგობრივი მიმართულებით სასწავლო კურსების შემუშავებისა განვითარების ხედვა (კონცეფცია);

გ) სამეცნიერო საქმიანობა, რაც დასტურდება შესაბამისი საკონკურსო მიმართულებით <u>უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში</u> გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციებით, მათ შორის რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული არანაკლებ 1 სამეცნიერო პუბლიკაციით;

დ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის უფლება, რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატით (კლინიკური სწავლების მიმართულებით კონკურსის შემთხვევაში);

ე) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, არანაკლებ ბოლო 3 წლისა;

ვ) ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენცია (ინგლისურენოვანი პროგრამის სწავლებისათვის / ინგლისურ ენაზე სასწავლო კომპონენტის წარმართვის საჭიროების შემთხვევაში).

**7.4. <u>ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად:</u>**

ა) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის სტატუსი;

ბ) დარგობრივი მიმართულებით სასწავლო კურსების შემუშავებისა განვითარების ხედვა (კონცეფცია);

გ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის უფლება, რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატით (კლინიკური სწავლების მიმართულებით კონკურსის შემთხვევაში);

დ) ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენცია (ინგლისურენოვანი პროგრამის სწავლებისათვის / ინგლისურ ენაზე სასწავლო კომპონენტის წარმართვის საჭიროების შემთხვევაში).

## მუხლი 8. ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენციის დადასტურება

**8.1.** კონკურსის მონაწილე კონკურსანტის ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენციის დადასტურებისათვის გამოიყენება ერთ-ერთი შემდეგი კრიტერიუმი:

ა) ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, 3 წლის გამოცდილება;

ბ) საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში ინგლისურ ენაზე საექიმო საქმიანობის განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;

გ) საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით დაწესებულებაში ბიომედიცინის მიმართულებით სასწავლო/კვლევითი საქმიანობის ინგლისურ ენაზე განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;

დ) ინგლისურენოვანი დიპლომამდელი ან დიპლომისშემდგომი პროგრამის დასრულება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით;

ე) ინგლისური ენის, სულ მცირე, B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატით.

## თავი III – აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი

### მუხლი 9. აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ეტაპები და პროცედურები

**9.1.** უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსი 2–ეტაპიანია:

**ა) პირველი ეტაპი** – კონკურსანტის საკონკურსო დოკუმენტაციის/ინფორმაციის შეფასება;

**ბ) მეორე ეტაპი** – კონკურსანტებთან გასაუბრება (საჭიროების შემთხვევაში საჩვენებელი ლექციის ჩატარება ან/და სხვა აქტივობის შესრულება, სამუშაო დატვირთვის სპეციფიკის გათვალისწინებით).

**9.2.** აკადემიური პერსონალის მიღების და შერჩევის მიზნით უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი **პროცედურებია (აქტივობებია):**

ა) აკადემიური პერსონალის მიღების საჭიროების და საკონკურსო ვაკანსიების განსაზღვრა (შესაბამისი თანამდებობის, საკონკურსო მიმართულებების/ქვემიმართულების, ვაკანსიების რაოდენობის მითითებით);

ბ) კონკურსის გამოცხადება (საკონკურსო ვადების: დოკუმენტაციის წარმოდგენის, კონკურსის ეტაპების, გასაჩივრების, საბოლოო შედეგების გამოცხადების, გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენის და შრომითი ხელშეკრულების გაფორმების ვადების მითითებით);

გ) საკონკურსო კომისიის (საჭიროების შემთხვევაში, ასევე სააპელაციო კომისიის) შემადგენლობის დამტკიცება;

დ) კონკურსანტთა საკონკურსო დოკუმენტების მიღება;

ე) კონკურსანტთა საკონკურსო დოკუმენტების შეფასება (კონკურსის პირველი ეტაპი);

ვ) კონკურსანტებთან გასაუბრება (კონკურსის მეორე ეტაპი);

ზ) გამარჯვებულ კონკურსანტთა გამოვლენა და კონკურსის წინასწარი/პირველადი შედეგების გამოქვეყნება;

თ) კონკურსანტების აპელაციების მიღება (არსებობის შემთხვევაში);

ი) კონკურსანტთა აპელაციების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

კ) კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნება;

ლ) საკონკურსო თანამდებობაზე შერჩეული/გამარჯვებული კონკურსანტების დასანიშნად წარდგენა;

მ) საკონკურსო თანამდებობაზე შერჩეული/გამარჯვებული კონკურსანტების შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნა და მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

### მუხლი 10. აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადება

**10.1.** აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსი ცხადდება საკონკურსო დოკუმენტაციის მიღებამდე არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე, საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე. კონკურსის შესახებ უნივერსიტეტის განცხადება შესაძლებელია გამოქვეყნდეს ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებებში (დასაქმებაზე ორიენტირებული ინტერნეტ პორტალები).

**10.2.** კონკურსის გამოცხადების შესახებ სამართლებრივ აქტში და განცხადებაში (ინფორმაციაში) მიეთითება ვაკანტური აკადემიური თანამდებობები, საკონკურსო პირობები (საკვალიფიკაციო მოთხოვნები), წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, დოკუმენტაციის წარმოდგენის სახე (მატერიალური ან/და ელექტრონული სახით), კონკურსის ვადები და ჩატარების პროცედურები.

**10.3.** კონკურსში მონაწილეობის მსურველი კონკურსანტი უფლებამოსილია უნივერსიტეტიდან გამოითხოვოს წინამდებარე წესი და კონკურსთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ინფორმაცია.

## მუხლი 11. კონკურსანტის წარმოსადგენი დოკუმენტაცია

**11.1. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:**

ა) **განაცხადი** კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით (დანართი 1 შესაბამისად);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი;

გ) კონკურსანტის **CV;**

დ) ფოტოსურათი (3X4);

ე) საკონკურსო აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა (მხოლოდ პროფესორის და ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად);

ზ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი, <u>ბოლო 5 წლის</u> განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი/პუბლიკაცია, დასაკავებელი თანამდებობისათვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად (გამოქვეყნებული პუბლიკაციების ჩამონათვალი, შესაბამისი ბეჭდვითი ჟურნალის სარჩევის ან ელექტრონული ჟურნალის სტატიის ბმულის მითითებით, უნდა აისახოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ CV ფორმაში);

თ) ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენციის დამადასტურებელი ცნობა;

ი) სილაბუსი საკონკურსო მიმართულების შესაბამისი სასწავლო კურსისთვის/კურსებისთვის (სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მსურველი კანდიდატებისათვის);

კ) დარგობრივი მიმართულებით სასწავლო კურსების შემუშავებისა და განვითარების ხედვა-კონცეფცია (სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მსურველი კანდიდატებისათვის)

ლ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატი;
მ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით კლინიკაში სამუშაო გამოცდილების ამსახველი ცნობა (კონკურსის პერიოდისათვის კონკურსანტის მოქმედი შრომითი კონტრაქტის/უწყვეტი/აქტიური შრომითი ურთიერთობის შესახებ);

ნ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ან/და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში (კონფერენცია, ფორუმი/ტრენინგი/კვალიფიკაციის ამაღლების/მომზადების/გადამზადების კურსები) მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები/სერტიფიკატები, ასევე გამოქვეყნებული

სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები (ინფორმაცია უნდა მიეთითოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ CV ფორმაში და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი დოკუმენტაცია, CV-თან ერთად);

ო) სხვა დოკუმენტაცია, რომელიც კონკურსანტის შეხედულებით დამატებით წარმოაჩენს კონკურსანტის შესაბამისობას საკონკურსო აკადემიურ თანამდებობასთან (ინფორმაცია მიღებული გრანტების, სტიპენდიებისა და ჯილდოების შესახებ, ასევე რეკომენდაციები საგანმანათლებლო თუ კლინიკური დაწესებულებიდან ან ნებისმიერი სხვა რელევანტური ინფორმაცია, შესაძლებელია აისახოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ CV ფორმაში და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი დოკუმენტაცია, CV-თან ერთად);

პ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის არქონის შესახებ (ცნობა უნდა იყოს მოქმედი საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის დროისათვის) ან კონკურსანტის **წინასწარი განაცხადი იმის შესახებ**, რომ ამ სახის დანაშაულის ჩადენისათვის არ არის ნასამართლევი  და არ აქვს ჩამორთმეული საქმიანობის უფლება (თუკი კონკურსანტი გაიმარჯვებს კონკურსში, ვალდებულია წარმოადგინოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ცნობა ნასამართლეობის შესახებ, შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ან დამსაქმებელის მიერ განსაზღვრულ ვადაში).

**11.2.** ასისტენტის აკადემიური თანამდებობის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა **დამატებით უნდა წარმოადგინონ** ცნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საკონკურსო მიმართულების შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის შესახებ.

**11.3.** უცხო ქვეყანაში/უცხო ენაზე გაცემულ დოკუმენტებთან ერთად (გარდა სამეცნიერო სტატიებისა) წარმოდგენილი უნდა იყოს მათი ქართულ ან ინგლისურ ენაზე ნოტარიულად დადასტურებული თარგმანი, ხოლო უცხო ქვეყნის უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად – მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული აღიარების დოკუმენტი.

**11.4.** საკონკურსო დოკუმენტაციასთან ერთად ყველა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირების შესახებ  (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და უნივერსიტეტთან აფილირების შეთანხმების გაფორმებაზე მზაობის შესახებ (აღნიშნული ინფორმაცია უნდა აისახოს უნივერისტეტის მიერ დადგენილ <u>კონკურსანტის განაცხადის ფორმაში).</u>

## მუხლი 12. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

**12.1.** კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტის განაცხადი და საკონკურსო დოკუმენტაცია (CV და თანდართული დოკუმენტაცია) წარმოდგენილი უნდა იქნეს განსაზღვრულ ვადაში (ვადაზე აღრე ან გვიან წარმოდგენილი დოკუმენტაცია დარჩება განუხილველი/დაუბრუნდება შემომტანს) და განსაზღვრული სახით (მატერიალური ან/და ელექტრონული სახით), კონკურსის გამოცხადების შესახებ სამართლებრივ აქტში აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად.

**12.2.** თითოეული კანდიდატი უფლებამოსილია განაცხადი შემოიტანოს მხოლოდ ერთ ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე.

**12.3.** საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიღებას, რეგისტრაციას და აღრიცხვას ახორციელებს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/დასაქმებული (შემდეგში – საკონკურსო კომისიის მდივანი).

**12.4.** საკონკურსო დოკუმენტაციაში აღნიშნული პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

## მუხლი 12 [1]. კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმები

კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმებია:

ა) ინგლისური ენის ფლობა;

ბ) პრაქტიკული გამოცდილება ან მიღებული განათლება შესაბამის საკონკურსო თანამდებობის პროფილში.

გ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება შესაბამის მიმართულებით;

დ) სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, კონგრესებში და სხვა სამეცნიეროკვლევით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა;

ე) დარგის ან სასწავლო კურსის სწავლება-განვითარების კონცეფცია ;

ვ) აკადემიური მიღწევები;

ზ) პრეზენტაბელურობა;

თ) ცოდნის გაზიარების მეთოდები;

ი) სტუდენტთა შეფასების მეთოდები;

კ) მოტივაცია;

ლ) კომუნიკაბელურობა;

მ) ინოვაციების ინიცირების და მართვის უნარი.

## მუხლი 13. საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება (კონკურსის პირველი ეტაპი)

**13.1.** საკონკურსო განცხადების/დოკუმენტაციის მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა, **საკონკურსო კომისიის მდივანი** კომისიის ყველა წევრს აწვდის ინფორმაციას თითოეულ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე შემოსული განაცხადების რაოდენობის შესახებ და შემოსული დოკუმენტაციის პაკეტს.

**13.2.** უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში საკონკურსო კომისიის ყველა წევრი ამოწმებს წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას ამ წესით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და შეფასების კრიტერიუმებთან და ახდენს შეფასებას.

**13.3.** დოკუმენტების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების სტადიაზე მოწმდება თითოეული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თავსებადობა შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ამ წესით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

**13.4.** საკონკურსო კომისია ახდენს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასებას 12 [1] მუხლის „ა” - „ვ” ქვეპუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმებით. თითეული კრიტერიუმი ფასდება მინიმუმ 0 და მაქსიმუმ 3 ქულით, შემდეგნაირად:

ა) 0 – არ შეესაბამება აკადემიური თანამდებობისთვის ამ წესით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ბ) 1 – შეესაბამება აკადემიური თანამდებობისთვის ამ წესით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შეფასება – დამაკმაყოფილებელი;

გ) 2 – შეესაბამება აკადემიური თანამდებობისთვის ამ წესით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შეფასება – კარგი;

დ) 3 – შეესაბამება აკადემიური თანამდებობისთვის ამ წესით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შეფასება – შესანიშნავი.

**13.5.** კომისიის საბოლოო შეფასება გამოიანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით.

**13.6.** კონკურსში მონაწილე კონკურსანტები, რომლებიც შეესაბამებიან ამ წესით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და არცერთ სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტის ნაწილში არ მიუღიათ შეფასება **„0“**, საკონკურსო კომისია აფასებს თითოეულ კონკურსანტს ამ მუხლით დადგენილი კრიტერიუმებით და იღებს გადაწყვეტილებას კონკურსანტის კონკურსის მეორე ეტაპზე – გასაუბრებაზე დაშვებისა და დაბარების შესახებ.

**13.7.** იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინფორმაცია არ შეესაბამება დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და საკონკურსო კომისიის შეფასებით ერთერთი სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნაწილში კონკურსანტმა მიიღო შეფასება **„0“**, საკონკურსო კომისიას გამოაქვს გადაწყვეტილება კონკურსანტის საკონკურსო მოთხოვნებთან შეუსაბამობის/არათავსებადობის შესახებ.

**13.8.** კომისიის შეფასება აისახება კომისიის სხდომის ოქმში და საკონკურსო კომისიის მდივნის მიერ ეცნობება შესაბამის კონკურსანტებს, მათ CV-ში მითითებულ საკონტაქტო ელექტრონულ ფოსტაზე/ტელეფონის ნომერზე.

**13.9.** კომისიის გადაწყვეტილება კანდიდატის საკონკურსო მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სააპელაციო კომისიასთან, ამ წესით დადგენილი პროცედურით.

## მუხლი 14. გასაუბრება კონკურსანტთან (კონკურსის მეორე ეტაპი)

**14.1.** კონკურსანტის გასაუბრება საკონკურსო კომისიის წევრებთან ტარდება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში.

**14.2.** გასაუბრების ეტაპზე დაიშვება ის კონკურსანტი, რომელმაც წარმატებით გაიარა კონკურსის პირველი ეტაპი (საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასების შედეგად არ მიუღია შეფასება „0“ არც ერთ სავალდებულო წარმოსადგენი დოკუმენტის ნაწილში).

**14.3.** საკონკურსო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კონკურსანტების ინფორმირებას გასაუბრების **დროის, ადგილის და ფორმატის** შესახებ.

**14.4.** კონკურსანტთან გასაუბრების ფორმას (პირისპირ თუ დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით) ირჩევს საკონკურსო კომისია.

**14.5.** კონკურსანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა არის მისი კონკურსიდან მოხსნის საფუძველი.

**14.6.** გასაუბრების ფარგლებში კომისია უფლებამოსილია დააზუსტოს თუ შეამოწმოს კონკურსანტის მიერ **CV**-ში მითითებული ინფორმაცია, ასევე წარმოჩინდეს კონკურსანტის ხედვა პროგრამის, მიმართულების, სასწავლო კომპონენტისა თუ კვლევითი მიმართულების განვითარების შესახებ.

**14.7.** კომისიის წევრების მოთხოვნით შესაძლებელია კონკურსანტს მოეთხოვოს მისი სალექციო კურსიდან კონკრეტული თემის დეტალური გაშუქება მოკლე (10-15 წუთი) იმიტირებული ლექციის სახით.

**14.8.** საკონკურსო კომისია უფლებამოსილია **კონკურსანტის თანხმობით** მიიღოს გადაწყვეტილება გასაუბრების ვიდეო ან აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით.

**14.9.** გასაუბრება კონკურსანტთან **შეიძლება ჩატარდეს** საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენაზე (საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ასევე იმიტირებული ლექცია).

**14.10.** საკონკურსო კომისია გასაუბრების შემდგომ ახდენს კონკურსანტების შეფასებას 12 პრიმა მუხლის „ზ" - „მ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმებით. თითეული კრიტერიუმი ფასდება მინიმუმ 0 და მაქსიმუმ 3 ქულით, შემდეგნაირად:

ა) 0 - კონკურსანტის მოტივაცია, საკომუნიკაციო-საპრეზენტაციო და ენობრივი უნარები ცოდნის გაზიარების მეთოდები, სტუდენტთა შეფასების მეთოდები, ინოვაციების ინიცირების და მართვის უნარები - არადამაკმაყოფილებელია;

ბ) 1 - კონკურსანტის მოტივაცია, საკომუნიკაციო-საპრეზენტაციო და ენობრივი უნარები ცოდნის გაზიარების მეთოდები, სტუდენტთა შეფასების მეთოდები, ინოვაციების ინიცირების და მართვის უნარები დამაკმაყოფილებელია;

გ) 2 - კონკურსანტის მოტივაცია, საკომუნიკაციო-საპრეზენტაციო და ენობრივი უნარები ცოდნის გაზიარების მეთოდები, სტუდენტთა შეფასების მეთოდები, ინოვაციების ინიცირების და მართვის უნარები კარგია;

დ) 3 - კონკურსანტის მოტივაცია, საკომუნიკაციო-საპრეზენტაციო და ენობრივი უნარები ცოდნის გაზიარების მეთოდები, სტუდენტთა შეფასების მეთოდები, ინოვაციების ინიცირების და მართვის უნარები შესანიშნავია.

**14.11.** კომისიის საბოლოო შეფასება გამოიანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით.

**14.12.** გასაუბრების შედეგები და კონკურსანტის შეფასებები აისახება კომისიის სხდომის ოქმში.

## მუხლი 15. კონკურსის პირველი და მეორე ეტაპის შემაჯამებელი შეფასება და შედეგების გამოქვეყნება

**15.1.** გასაუბრების ეტაპის დასრულების შემდგომ, საკონკურსო კომისიის მდივანი აჯამებს კონკურსანტის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის შედეგად მიღებულ შეფასებებს.

**15.2.** იმ კონკურსანტის საბოლოო შეფასებას, რომელსაც კონკურსის არც ერთ ეტაპზე არ აქვს მიღებული შეფასება „0", ასევე, დაფიქსირებული აქვს უნივერსიტეტთან აფილირების მზაობა, ემატება 1 ქულა.

**15.3.** კონკურსანტის საბოლოო შეფასება აისახება საკონკურსო კომისიის შემაჯამებელ სხდომის ოქმში.

**15.4.** კონკურსანტების საბოლოო სიას საკონკურსო კომისია ადგენს ამ წესით განსაზღვრული აპელაციების პროცედურების დასრულების შემდეგ, სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

**15.5.** კონკურსის დასრულების შემდეგ კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადებული ვაკანურ ადგილებზე დაკავებული თანამდებობების მითითებით აისახება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

## მუხლი 16. კონკურსანტის აპელაცია, სააპელაციო კომისიის შემადგენლობა და გადაწყვეტილება

**16.1.** აპელაცია გულისხმობს კონკურსის მონაწილე კონკურსანტის მიერ კონკურსის ჩატარების პროცედურის ან კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

**16.2.** სააპელაციო საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული და საფუძვლად უნდა ედოს კომისიის მხრიდან ამ წესით დადგენილი კონკურსის ჩატარების პირობებისა თუ პროცედურების დარღვევის ფაქტი.

**16.3.** სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვს კონკურსანტს, რომელსაც უარი ეთქვა კონკურსის შემდეგ ეტაპზე დაშვებაზე ან აკადემიურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენაზე.

**16.4.** სააპელაციო საჩივარი წარდგენილი უნდა იქნეს კომისიის გადაწყვეტილების გაცნობიდან არაუგვიანეს **მომდევნო სამუშაო დღეს.**

**16.5.** სააპელაციო საჩივარს განიხილავს **რექტორის ბრძანებით შექმნილი სააპელაციო კომისია, არანაკლებ** 3 წევრის შემადგენლობით, მათ შორის:

ა) უნივერსიტეტის რექტორი ან სხვა აღმინისტრაციული თანამდებობის პირი (რექტორის მოადგილე, სკოლის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) – კომისიის თავმჯდომარე;

ბ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელები, რომელიც არ იღებდა მონაწილეობას საკონკურსო კომისიის მუშაობაში – კომისიის წევრი;

გ) უნივერსიტეტის საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/დასაქმებული – კომისიის მდივანი.

**16.6.** სააპელაციო კომისია შეისწავლის კონკურსანტის აპელაციას და იღებს ერთ-ერთ შემდეგი შინაარსის გადაწყვეტილებას:

ა) საჩივრის დაუსაბუთებულად ცნობის შესახებ, თუ საჩივრის შინაარსით არ იკვეთება საკონკურსო კომისიის მხრიდან ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა;

ბ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, თუ გამოვლენილი დარღვევა უმნიშვნელო ხასიათისაა და მისი არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ კონკურსანტთან მიმართებაში არ იქნებოდა მიღებული სხვაგვარი შინაარსის გადაწყვეტილება;

გ) საჩივრის დაკმაყოფილების და საკითხის საკონკურსო კომისიისთვის განსახილველად დაბრუნების შესახებ;

დ) საჩივრის დაკმაყოფილებისა და საკითხის სააპელაციო კომისიის მიერ გადაწყვეტის შესახებ, თუ დასაბუთებულია კომისიის წევრების მხრიდან მიკერძოებულობა, ინტერესთა კონფლიქტი ან საკითხის გადასაწყვეტად არასაკმარისი კომპეტენცია.

**16.7.** საკითხის შესწავლისა და შეფასებისას, სააპელაციო კომისია არ არის უფლებამოსილი გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს.

**16.8.** საკითხის დამატებით გამორკვევის მიზნით, სააპელაციო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კომისიის სხდომაზე სააპელაციო საჩივრის ავტორის მოწვევის და მისი პოზიციის მოსმენის შესახებ, ასევე უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის მდივნისაგან ან კომისიის წევრებისაგან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია.

**16.9.** სააპელაციო კომისიის არგუმენტირებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც ეგზავნება სააპელაციო საჩივრის ავტორსა და საკონკურსო კომისიას.

**16.10.** სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების უნივერსიტეტში შემდგომი გასაჩივრება დაუშვებელია.

## მუხლი 17. გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა და აკადემიურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენა

**17.1.** აპელაციის პროცესის დასრულების და აპელაციების შედეგების განხილვის შემდგომ, საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენის თაობაზე.

**17.2.** იმ შემთხვევაში თუკი კონკრეტულ ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსანტების რაოდენობა, რომლებსაც კონკურსის არც ერთ ეტაპზე არ აქვთ მიღებული შეფასება „0", ნაკლებია ან ტოლია ვაკანსიების რაოდენობაზე, კომისია იღებს გადაწყვეტილებას ყველა კონკურსანტის აკადემიურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენის შესახებ.

**17.3.** იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული აკადემიური პოზიციაზე კონკურსანტების რაოდენობა, რომლებსაც კონკურსის არც ერთ ეტაპზე არ აქვთ მიღებული შეფასება „0", აღემატება შესაბამის აკადემიურ პოზიციაზე საკონკურსო ვაკანსიების რაოდენობას, კომისია იღებს გადაწყვეტილებას საკონკურსო პოზიციების შესაბამისი რაოდენობის უმაღლესი შეფასების მქონე კონკურსანტის აკადემიურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენის შესახებ.

**17.4.** იმ შემთხვევაში თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კონკურსანტების მიერ მიღებული შეფასებები თანაბარია, კომისია უფლებამოსილია მოახდინოს მათი <u>განმეორებითი შეფასება,</u> გამარჯვებული კანდიდატის გამოსავლენად.

**17.5.** კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის შესახებ საკონკურსო კომისიის წარდგინების გათვალისწინებით უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას გამარჯვებული კონკურსანტის შესაბამის ვაკანტურ პოზიციაზე დანიშვნის თაობაზე.

**17.6.** გამარჯვებულ კონკურსანტთან ფორმდება აფილირების შეთანხმება და შრომითი ხელშეკრულება.

## მუხლი 18. კონკურსის განმეორებით გამოცხადება და ჩატარება

**18.1.** აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგად ვაკანტური ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია ხელახლა გამოაცხადოს კონკურსი (განმეორებითი კონკურსი), ამ წესით დადგენილი პროცედურით, კონკურსის შედეგად დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე.

**18.2.** განმეორებითი კონკურსი უნდა ჩატარდეს წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვით.

## მუხლი 19. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა

**19.1.** საკონკურსო კომისიის შემადგენლობა მტკიცდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით, სკოლის საბჭოს წარდგინების ან აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად. შესაძლებელია აკადემიური საბჭოს დადგენილებით საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობის განსაზღვრა ეთხოვოს უნივერსიტეტის რექტორს.

**19.2.** წარდგენილ კანდიდატებს უნდა ქონდეს უმაღლესი განათლება/აკადემიური ხარისხი (სავალდებულო კრიტერიუმი), სამეცნიეროპედაგოგიური სამუშაო გამოცდილება/სამეცნიერო მიღწევები ან/და სხვა მიღწევები, რომელიც ადასტურებს კომისიის წევრის კომპეტენტურობას აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატთა შერჩევა/შეფასების საკითხებში.

**19.3.** საკონკურსო კომისიის წევრების რაოდენობა უნდა იყოს კენტი.

**19.4.** საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) საკონკურსო **კომისიის თავმჯდომარე** – უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი (განისაზღვრება კომისიის შემადგენლობის დამტკიცების აქტით);

ბ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები – უნივერსიტეტის სკოლის შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ან სხვა დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან (საკონკურსო მიმართულების შესაბამისი კვალიფიკაციის/შრომითი გამოცდილების მქონე პირები);

გ) საკონკურსო კომისიის **გარე წევრები** (არ უნდა იყოს საკონკურსო კომისიის წევრი აკადემიური პერსონალის რაოდენობაზე ნაკლები) – სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის, სამედიცინო დაწესებულების პერსონალის, დარგის ექსპერტებისა და პროფესიული გაერთიანებების წევრების შემადგენლობიდან;

დ) საკონკურსო **კომისიის სხვა წევრები** – სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, სკოლისა თუ სხვა სტრუქტურული ერთეულის პერსონალის წარმომადგენლები (საკონკურსო მიმართულების შესაბამისი კვალიფიკაციის/შრომითი გამოცდილების მქონე პირები);

**19.5.** საკონკურსო კომისია დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და უნივერსიტეტის არცერთი სტრუქტურული ერთეული/დასაქმებული არ არის უფლებამოსილი ჩაერიოს მის საქმიანობაში.

**19.6.** საკონკურსო კომისიის მუშაობაში ჩარევად არ განიხილება საკონკურსო კომისიის საქმიანობის საორგანიზაციო ღონისძიებებთან და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესრულებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის უფლებამოსილი პერსონალის მხრიდან მონიტორინგი.

**19.7.** საკონკურსო კომისიის მიერ წინამდებარე წესის მოთხოვნების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად/ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია დაითხოვოს კომისია და წინამდებარე წესის შესაბამისად განსაზღვროს კომისიის ახალი შემადგენლობა.

**19.8. საკონკურსო კომისიის მდივნის ფუნქციას** ასრულებს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის დასაქმებული (შემდეგში – საკონკურსო კომისიის მდივანი).

**19.9.** უნივერსიტეტის რექტორი საკონკურსო კომისიის წევრებთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებას, რომელშიც გაიწერება კომისიის წევრის უფლება-მოვალეობები, შრომის ანაზღაურების ოდენობა და შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

**19.10.** საკონკურსო კომისიის წევრის, მათ შორის საკონკურსო კომისიის მდივნის, შრომის ანაზღაურების ოდენობა შეიძლება განისაზღვროს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, ვაკანტური აკადემიური თანამდებობების რაოდენობის გათვალისწინებით. შრომის ანაზღაურება გაიცემა საკონკურსო კომისიის წევრის მიერ გაწეული შრომის შესაბამისად.

## მუხლი 20. საკონკურსო კომისიის ფუნქციები და მუშაობის ფორმატი

**20.1.** საკონკურსო კომისიის ფუნქციები, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი (ფორმატი) განისაზღვრება წინამდებარე წესით და კონკურსის გამოცხადების შესახებ სამართლებრივი აქტით.

**20.2. საკონკურსო კომისიის მდივანი** ორგანიზებას უწევს საკონკურსო კომისიის სხდომების გამართვას, ესწრება სხდომებს და ასრულებს **საკონკურსო კომისიის მდივნის ფუნქციას, ხმის უფლების გარეშე** (გადაწყვეტილების მიღებისას არ სარგებლობს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებით).

**20.3. საკონკურსო კომისიის მდივანი** (უნივერსიტეტის **ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის** დასაქმებული):

ა) კონკურსის საჯაროობის უზრუნველსაყოფად ახორციელებს შესაბამის აქტივობებს კონკურსის გამოცხადების შესახებ უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტისა და კონკურსის შესახებ განცხადების გამოქვეყნების მიზნით (ვებგვერდზე განთავსებისათვის წარდგენა; გამოქვეყნების მონიტორინგი);

ბ) იღებს/ატარებს რეგისტრაციაში დადგენილ ვადაში კონკურსანტების მიერ ელექტრონულად ან/და მატერიალური სახით წარმოდგენილ საკონკურსო განაცხადებს და დოკუმენტაციას;

გ) კონკურსის ეტაპებთან და პროცედურებთან დაკავშირებით წარმართავს კომუნიკაციას საკონკურსო კომისიის წევრებთან და კონკურსანტებთან;

დ) ასრულებს საკონკურსო კომისიის მდივნის ფუნქციას და კომისიის მუშაობისათვის სხვა საორგანიზაციო აქტივობებს;

ე) კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციას/მონაცემებს აწვდის უნივერსიტეტის უფლებამოსილ პერსონალს და კონკურსანტებს.

**20.4. საკონკურსო კომისია:**

ა) კონკურსის პირველ ეტაპზე ახორციელებს კონკურსანტთა საკონკურსო დოკუმენტაციის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამუშავებას და წინამდებარე წესით განსაზღვრულ კონკურსის მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის შეფასებას;

ბ) ატარებს გასაუბრებას კონკურსის მეორე ეტაპზე დაშვებულ კონკურსანტებთან;

გ) ახორციელებს კონკურსის მონაწილე ყველა კონკურსანტის შეფასებას, მათი კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენას და არსებული ვაკანტური ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით, აკადემიურ კონკურსში გამარჯვებული კანდიდატების გამოვლენას;

დ) აქვეყნებს კონკურსის შედეგებს, კონკურსის გამოცხადების შესახებ სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში;

ე) გამარჯვებულ კონკურსანტებს წარადგენს დასანიშნად;

ვ) ახორციელებს ამ წესით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებას.

**20.5.** კომისიის სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს წევრთა უშუალოდ დასწრების ან დისტანციური კომუნიკაციის ფორმატში.

**20.6.** კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს კონკურსანტთან გასაუბრება პირისპირ/უშუალოდ ან დართოს ნება ჩაერთოს კომისიის სხდომაზე დისტანციურად.

**20.7.** სხდომის დისტანციურად ჩატარების დროს სხდომის მდივანი უზრუნველყოფს დამსწრე პირების ვინაობის და აუდიო-ვიზუალური კავშირის გამართულობას, სხდომის თითოეული მონაწილისათვის, ასევე ახორციელებს სხდომის აუდიო-ვიდეო ჩაწერას.

**20.8.** კომისია უფლებამოსილია დისტანციურად წარმართოს სხდომა იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილია სხდომის ყველა მონაწილის (კომისიის წევრი, კონკურსანტი) აუდიო და ვიდეო კავშირი.

**20.9.** კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ საკითხის გადაწყვეტის და კონკურსანტის შეფასების დროს დამსწრე წევრების რაოდენობა, აცილებული/თვითაცილებული წევრების გამოკლებით, შეადგენს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს.

## მუხლი 21. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

**21.1.** საკონკურსო კომისიის სხდომის მიმდინარეობა, მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასებები აღიწერება კომისიის სხდომის ოქმში.

**21.2.** კომისიის სხდომის ოქმში მიეთითება:

ა) კომისიის სხდომის თარიღი;

ბ) კომისიის სხდომის რიგითი ნომერი;

გ) კომისიის სხდომის ადგილი, დისტანციურად ჩატარებული სხდომის შემთხვევაში - ფორმატი;

დ) კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრები, წევრები, რომლებმაც გამოაცხადეს აცილება;

ე) კომისიის სხდომაზე მოწვეული კონკურსანტები;

ვ) კომისიის დღის წესრიგი, კონკურსის ეტაპის (საბუთების შეფასება, გასაუბრება, სააპელაციო საჩივრის განხილვა) შესაბამისად;

ზ) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული მსჯელობის/გამოთქმული პოზიციის შეჯამება;

თ) კომისიის შეფასებები;

ი) კომისიის გადაწყვეტილება, მიღებული ამ წესით გათვალისწინებული ფუნქციების/უფლებამოსილების ფარგლებში.

**21.3.** საკონკურსო კომისიის ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

**21.4.** საკონკურსო კომისიის ოქმს თან დაერთვის კომისიის წევრთა მიერ კონკურსანტთა შეფასების შედეგად შევსებული კონკურსანტის შეფასების ფორმები.

**21.5.** კომისიის სხდომის ოქმებს აწარმოებს და აღრიცხვას კომისიის მდივანი.

**21.6.** კომისიის სხდომის ოქმი ხელმოწერის შემდეგ ეგზავნება კომისიის წევრებს და დედანი ინახება უნივერსიტეტის საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულში.

**21.7.** კონკურსანტი უფლებამოსილია გაეცნოს კომისიის მიერ საკუთარი შეფასების ფრცლებს.

## მუხლი 22. საკონკურსო მასალების შენახვა

**22.1.** კონკურსის დასრულების შემდგომ, კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი ყველა მასალა, ასევე კომისიების მუშაობის ოქმები, გადაეცემა უნივერსიტეტის საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიის მდივანი.

**22.2.** საკონკურსო დოკუმენტაცია და საკონკურსო კომისიის ოქმები უნივერსიტეტში ინახება კანონმდებლობის, უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესისა და უნივერსიტეტის ნომენკლატურის შესაბამისად.

**22.3.** კონკურსანტი უფლებამოსილია უნივერსიტეტიდან გამოითხოვოს მის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტში წარმოდგენილი სახელმძღვანელოები, ასეთის არსებობის შემთხვევაში (ამ შემთხვევაში უნივერსიტეტში ინახება საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ დამოწმებული ასლი).

# თავი IV – მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესი

## მუხლი 23. მოწვეული პერსონალი

**23.1.** მოწვეულ პერსონალს (ლექტორებს) განეკუთვნება შესაბამისი პედაგოგიური, პრაქტიკული თუ კლინიკური გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც მოიწვევა პროგრამის შესაბამისი კომპონენტების/სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, კერძოდ:

**ა) <u>მოწვეული პროფესორის სტატუსით</u>** – სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან აკადემიური თანამდებობის პირი (მოწვეული პროფესორის/ასოცირებული პროფესორის სტატუსით, იმის მიხედვით, თუ რომელ აკადემიურ თანამდებობაზეა არჩეული სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში);

**ბ) <u>მოწვეული უფროსი მასწავლებლის სტატუსით</u>** – დოქტორის ხარისხის მქონე პირი;

**გ) <u>მოწვეული მასწავლებლის სტატუსით</u>** – დოქტორის აკადემიური ხარისხის არმქონე პირი.

**23.2.** უნივერსიტეტში მოწვეული პერსონალის რომელიმე სტატუსით ვერ დასაქმდება პირი, რომელიც ნასამართლევია „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.

**23.3.** მოწვეული პერსონალის წარმომადგენელი ვალდებულია წარმოადგინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის არქონის შესახებ **დასაქმებამდე ან დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში** (თუკი დასაქმებამდე კანდიდატმა წინასწარ განაცხადა, რომ ამ სახის დანაშაულისათვის არ არის ნასამართლევი ან/და არ აქვს ჩამორთმეული საქმიანობის უფლება).

## მუხლი 24. მოსაწვევი პერსონალის საჭიროების განსაზღვრა

**24.1.** უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივ დეპარტამენტებთან კონსულტაციის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებების, სტუდენტთა რაოდენობის, არსებული პერსონალის სამუშაო დატვირთვის ოდენობისა და შესაბამისი სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით, განსაზღვრავს მოწვეული პერსონალის ნაწილში პროგრამის საჭიროებებს, ასევე მოწვეული პერსონალის სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მიმართავს სკოლის დეკანს, შესასრულებელი ვაკანტური სამუშაო დატვირთვის განაწილებისათვის პერსონალის მიღების საკითხის სკოლის საბჭოს სხდომაზე განხილვის წინადადებით.

**24.2.** სკოლის დეკანი უზრუნველყოფს მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების საკითხის სკოლის საბჭოზე განსახილველად მომზადებას და სკოლის საბჭოს დღის წესრიგში შეყვანას.

**24.3.** მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების/მოწვევის საკითხის სკოლის საბჭოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობას იღებენ პროგრამის ხელმძღვანელი და დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელები.

**24.4.** წარმოდგენილი არგუმენტების გათვალისწინებით, სკოლის საბჭო, მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას თითოეულ დარგობრივ დეპარტამენტში შესასრულებელი სამუშაო საათების, მოწვეული პერსონალის ვაკანსიების რაოდენობის განსაზღვრის, ასევე მოსაწვევი პერსონალის შერჩევის წესის **(კონკურსით, კონკურსის გარეშე)** განსაზღვრის თაობაზე.

**24.5.** სკოლის საბჭოს დადგენილების საფუძველზე, უნივერსიტეტის დეკანი მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს მოსაწვევი პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების და შესარჩევი კომისიის ფორმირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ან შეთავაზებული კანდიდატურების კონკურსის გარეშე მოწვევის თაობაზე ბრძანების გამოცემის წარდგინებით.

**24.6.** სკოლის საბჭოს გადაწყვეტილება მოსაწვევი პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ ეგზავნება **რექტორის მოადგილეს** რომელიც კოორდინაციას უწევს კონკურსთან დაკავშირებით რექტორის სამართლებრივი აქტების გამოცემასა და უნივერსიტეტის უფლებამოსილი პერსონალის მიერ მისი აღსრულების ადმინისტრირებას.

## მუხლი 25. მოსაწვევი პერსონალის სამსახურში მიღების წესი

**25.1.** მოსაწვევი პერსონალი სამსახურში მიიღება **ღია კონკურსის შედეგად ან უკონკურსოდ.**

**25.2.** **კონკურსის გარეშე შესაძლებელია მიღებული იქნეს:**

ა) <u>მოწვეული პროფესორის/ასოცირებული პროფესორის სტატუსით</u> - სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი;

ბ) <u>მოწვეული უფროსი მასწავლებელის ან მასწავლებლის სტატუსით</u> - შესასრულებელი შრომითი დატვირთვის მიმართულებით **არანაკლებ ბოლო 3 წლის** სამუშაო გამოცდილების მქონე პირები;

**25.3.** მოწვეული პერსონალის სამსახურში კონკურსის გარეშე მიღება ხორციელდება პროგრამის მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებისა და სკოლის დეკანის თანხმობის საფუძველზე.

**25.4.** მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობა განისაზღვრება მოწვევის ინიციატორის მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, პროგრამის საჭიროების გათვალისწინებით.

## მუხლი 26. მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

**26.1.** მოწვეული პერსონალის ჩარჩო საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) არანაკლებ მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლება;

ბ) კლინიკურ დეპარტამენტში კლინიკური მიმართულების სასწავლო კურსებისთვის - საექიმო საქმიანობის სერტიფიკატი, ასევე შესაბამისი მიმართულებით კლინიკური გამოცდილება, მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად);

გ) სასწავლო კურსის პროგრამის - სილაბუსის შემუშავების და განვითარების გამოცდილება ან კომპეტენცია.

**26.2.** მოსაწვევი პერსონალის სხვა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის უფლებამოსილება აქვს უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საბჭოს.

**26.3.** მოსაწვევი პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში კონკურსანტის შესაბამისობას ამ მუხლით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, უზრუნველყოფს საკონკურსო კომისია.

**26.4.** კონკურსის გარეშე მოსაწვევი კანდიდატურის შესაბამისობას ამ მუხლით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ადასტურებს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, პროგრამის ხელმძღვანელთან/სკოლის დეკანთან კონსულტაციის საფუძველზე.

## მუხლი 27. მოსაწვევი პერსონალის სამსახურში მისაღები კონკურსის გამოცხადება

**27.1.** მოსაწვევი პერსონალის სამსახურში მისაღები კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანებით, საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. კონკურსის შესახებ უნივერსიტეტის განცხადება შესაძლებელია გამოქვეყნდეს ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებებში (დასაქმებაზე ორიენტირებული ინტერნეტ პორტალები).

**27.2.** კონკურსის გამოცხადების შესახებ სამართლებრივ აქტში და განცხადებაში (ინფორმაციაში) მიეთითება შესასრულებელი სამუშაოს სახე, შრომითი დატვირთვის ოდენობა, საკონკურსო პირობები (საკვალიფიკაციო მოთხოვნები), წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, კონკურსის ვადები და ჩატარების პროცედურები.

**27.3.** კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირი უფლებამოსილია გაეცნოს წინამდებარე წესსა და კონკურსთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.abmu.edu.ge;

## მუხლი 28. მოსაწვევი პერსონალის სამსახურში მისაღები საკონკურსო კომისია

**28.1. მოსაწვევი პერსონალის სამსახურში მისაღები საკონკურსო კომისია იქმნება რექტორის ბრძანებით,** სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

**28.2.** საკონკურსო კომისიის წევრების რაოდენობა უნდა იყოს კენტი.

**28.3.** საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) კომისიის თავმჯდომარე – სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი ან დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ბ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები – უნივერსიტეტის სკოლის შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ან სხვა დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან (საკონკურსო მიმართულების შესაბამისი კვალიფიკაციის/შრომითი გამოცდილების მქონე პირები);

გ) საკონკურსო **კომისიის სხვა წევრები** – სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, სკოლისა თუ სხვა სტრუქტურული ერთეულის პერსონალის წარმომადგენლები (საკონკურსო მიმართულების შესაბამისი კვალიფიკაციის/შრომითი გამოცდილების მქონე პირები);

**28.4.** საკონკურსო კომისიის მდივნის ფუნქციას ასრულებს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის დასაქმებული (შემდეგში – საკონკურსო კომისიის მდივანი), **ხმის უფლების გარეშე** (გადაწყვეტილების მიღებისას არ სარგებლობს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებით).

**28.5.** შესარჩევი კომისია უზრუნველყოფს საკონკურსო განაცხადების მიღებას, კონკურსანტთა დოკუმენტაციის შეფასებას, კონკურსანტებთან გასაუბრებას, ამ წესის მოთხოვნებთან და კონკურსის პირობებთან მათი შესაბამისობის დადგენას, გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენასა და რექტორისათვის წარდგენას.

## მუხლი 29. მოწვეული პერსონალის სამსახურში მისაღები კონკურსის ჩატარების წესი

**29.1. მოწვეული პერსონალის სამსახურში მისაღები კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული პროცედურები** (სხდომის ფორმატი, სხდომის ოქმის წარმოება, კონკურსანტებთან კომუნიკაცია, საკონკურსო მასალების დამუშავება, შენახვა და სხვა) განისაზღვრება აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარებისათვის და საკონკურსო კომისიის საქმიანობისათვის ამ წესით დადგენილი პროცედურების და რეგულაციისა და კონკურსის გამოცხადების სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

**29.2.** კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული კონკურსანტები წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების დადებას.

## თავი V - გარდამავალი დებულებები

### მუხლი 30. გარდამავალი დებულებები

**30.1.** წინამდებარე წესი ძალაში შედის უნივერსიტეტის პარტნიორთა კრების მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

**30.2.** წესის ძალაში შესვლის შემდეგ, აკადემიური საბჭოსა და სკოლის საბჭოების ფორმირებამდე, ამ წესით მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს ასრულებს უნივერსიტეტის რექტორი.

**30.3.** ამ წესის ძალაში შესვლიდან **2024 წლის 1 ოქტომბრამდე,** უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია დამოუკიდებლად, ან მის მიერ განსაზღვრულ პირებთან ერთად (ადმინისტრაციული თანამდებობის პირები/სამუშაო ჯგუფის წევრები) განსაზღვროს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და მოსაწვევი პერსონალის (კონკურსით ან კონკურსის გარეშე) საჭიროება და დააკომპლექტოს კომისიები ამ წესისაგან განსხვავებული შემადგენლობით.

**30.4.** ამ წესის ძალაში შესვლიდან 2024 წლის 1 ოქტომბრამდე გამოცემული აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ სამართლებრივი აქტით შესაძლებელია პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე არჩევისათვის ერთ-ერთ საკვალიფიკაციო მოთხოვნად განისაზღვროს კონკურსანტის სამეცნიერო საქმიანობა, რაც შესაძლებელია დადასტურდეს შესაბამისი საკონკურსო მიმართულებით გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციით (უპირატესობა მიენიჭოს იმპაქტ ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებას).

**30.5.** უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ფორმირების შემდეგ წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების განხილვაზე და დამტკიცებაზე უფლებამოსილია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

**დანართი 1**

# კონკურსანტის განაცხადი / Candidate's application

**(შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით / for participation in the academic staff selection competition at Avicenna LLC - Batumi Medical University)**

**კონკურსანტის სახელი, გვარი / Applicant's name and surname:** _____

**პირადი ნომერი / ID:** _____

**ელ. ფოსტა / Email address:** _____

**ტელეფონის ნომერი / Phone number:** _____

■ **მსურს მონაწილეობა მივიღო შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში _____ მიმართულებით შემდეგი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. / I hereby apply to participate in the academic staff selection competition announced by Avicenna – Batumi Medical University, in the field of _____, for the following academic position:**

| | |
|---|---|
| ☐ | **პროფესორი / Professor** |
| ☐ | **ასოცირებული პროფესორი / Associate Professor** |
| ☐ | **ასისტენტ-პროფესორი / Assistant-professor** |
| ☐ | **ასისტენტი / Assistant** |

■ **გავეცანი და ვეთანხმები ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანაწესს, „ავიცენას აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესს", „აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესს", აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის პირობებს და აღნიშნულს ხელმოწერით ვადასტურებ. / I have read and agree with the internal regulations of Avicenna-Batumi Medical University, the "Rules for Affiliation of Academic Staff, Determination of Workload of Academic and Invited Staff and Remuneration",' the "Rules for Hiring Academic and Invited Staff," the conditions for the selection competition for academic staff, and I confirm the above with my signature.**

■ **გავეცანი, ვეთანხმები და ვაცხადებ, რომ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ დადგენილ წესებს და არის ვალიდური. სრულად ვიღებ პასუხისმგებლობას ჩემს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე. / I have reviewed and agree that the submitted competition documentation complies with the rules established by the university and is valid. I take full responsibility for the accuracy of the documents I have submitted.**

■ **კონკურსანტის წინასწარი/პირობითი განაცხადი ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ (*<u>შენიშვნა:</u> მონიშნეთ შესაბამისი ველი და შეავსეთ შესაბამისი გრაფა). / Candidate's preliminary/conditional statement of affiliation with Avicenna – Batumi Medical University (Note: Please mark the appropriate field and complete the corresponding section.)***

☐ **ვაცხადებ თანხმობას,** კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი განვსაზღვრო <u>ჩემს ძირითად სამუშაო ადგილად</u> და **სრულად შევასრულო** ამ უნივერსიტეტთან **აფილირებული აკადემიური** თანამდებობის პირისათვის განსაზღვრული შრომითი (აკადემიური) დატვირთვა / **I declare my consent** that, in the event of being selected, <u>I will designate Avicenna - Batumi Medical University as my primary place of employment</u> and **will fully** comply with the academic workload requirements associated with the affiliated academic position at this university.

☐ **ვაცხადებ, რომ** ჩემი ძირითადი სამუშაო ადგილია (ვაპირებ დავსაქმდე) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებუებაში, ხოლო კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში შევასრულებ ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში **არააფილირებული აკადემიური** თანამდებობის პირისათვის განსაზღვრულ შრომით (აკადემიურ) დატვირთვას / I hereby declare that my primary place of employment is (or is intended to be) at another higher education institution. In the event of being selected, I will fulfill the academic workload requirements assigned to a non-affiliated academic position at Avicenna - Batumi Medical University.

| **დაწესებულების დასახელება** ( სადაც მუშაობთ ან აპირებთ დასაქმებას) / **Name of the institution** (where you are currently employed or intend to be employed) | დაკავებული (ან დასაკავებელი) თანამდებობა/საშტატო ერთეული და შესასრულებელი სამუშაოს სახე (ფუნქცია) / Current (or intended) position / job title and description of duties (functions) | სამუშაო დღეები და სამუშაო საათები / Workdays and working hours | საერთო კვირეული და წლიური სავარაუდო აკადემიური დატვირთვა (**შენიშვნა:** ეს გრაფა ივსება მიწვეული მასწავლებლის ან აკადემიური პერსონალის შემთხვევაში) / Total weekly and annual expected academic workload (**Note**: This field is filled out for invited teachers or academic staff) |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |

**შენიშვნა:** დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით / **Note**: Add rows as you wish.

■ **კონკურსანტის განაცხადი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე / Candidate's application regarding the processing of personal data:**

თანახმა ვარ დამუშავდეს ჩემი პერსონალური ინფორმაცია **ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტთან** წინასახელშეკრულებო ურთიერთობის, ხოლო კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში - შრომითი ურთიერთობის პერიოდში (მათ შორის აფილირების წესის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე) / I hereby consent to the processing of my personal data in connection with pre-contractual relations with Avicenna - Batumi Medical University and, in the event of being selected, throughout the period of employment. This includes processing for the purpose of ensuring compliance with affiliation regulations and for other legitimate needs arising within the scope of the university's operations.

**კონკურსანტის ხელმოწერა /**
**Candidate's Signature** _____

**თარიღი / Date:** _____
**(დღე, თვე, წელი / DD, MM, YYYY)**